სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება № 72

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც დადებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით

ქ. ბათუმი 30 მარტი 2017 წ.

ერთის მხვრივ, სსიპ ,,სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია'' (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი რექტორის პირველი მოადგილის ირაკლი კაცაძის სახით და მეორეს მხრივ შპს „ბათუმი-ექსპრესი" (შემდგომში ,,მიმწოდებელი'') წარმოდგენილი დირექტორის გელა პატარაიას სახით "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის 3-ე პუნქტის ,,ი" ქვეპუნქტის შესაბამისად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.6. ,,საქონელი'' - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ნაბეჭდი წიგნები, კერძოდ ტურიზმი - „საკრუიზო ტურიზმის მენეჯმენტის" ლიტერატურის შესყიდვა თანახმად დანართი N1-სა.

2.2. კლასიფიკატორის კოდი: 22110000.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება - 3045,20 (სამი ათას ორმოცდახუთი ლარი და 20 თეთრი) ლარი.

3.2.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო (გადარიცხვა) ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში სასაქონლო ზედნადების საფუძველზე.

4.3. <u>დაფინანსების წყარო:</u> საგანმანათლებლო მომსახურებიდან და სხვა ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებლის მიერ ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა მიერ ხელისმოწერის დღიდან.

5.2. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

,,შემსყიდველი'' ,,მიმწოდებელი''

ND 2-O05-12

5.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დეკანი **რომან მამულაძე** და აკადემიის ბიბლიოთეკის დირექტორი **გოჩა ჩინჩალაძე.**

6. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1. საქონლის მიწოდების ადგილად განისაზღვრება მიმწოდებლის მისამართი.
6.2. საქონლის მიწოდება შემსყიდველისათვის უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 7 დღის განმავლობაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხით და სრული მოცულობით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს საჯარიმო სანქციები, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1 %.
8.2. იმ შემთხვევაში, თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 4%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
9.2. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
9.4. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ.
9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი, დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

„შემსყიდველი"

„მიმწოდებელი"

12. ხელშეკრულების ენა

12.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ორი ეგზემპლიარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი ეგზემპლიარი ინახება მიმწოდებელთან.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 მაისის ჩათვლით.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

ქ. ბათუმი. რუსთაველის ქ.№53

სსიპ ,,სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია“

ანგარიშის № GE86VT5500000000493408

საიდენტიფიკაციო კოდი: 245427337

მიმღების ბანკი: სს „ვი თი ბი ბანკი ჯორჯია“-ს ბათუმის ფილიალი

ბანკის კოდი: UGEBGE22

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ირაკლი [illegible]

„მიმწოდებელი“

ქ. ბათუმი, ი. ჭავჭავაძის ქ. №90

შ.პ.ს. „ბათუმი-ექსპრესი“

ანგარიშის № GE18PC0033600100022462

საიდენტიფიკაციო კოდი: 245424116

მიმღების ბანკი: სს "პროკრედიტ ბანკი"

ბანკის კოდი: MIPBGE22

დირექტორი

გელა პაპუნაია

ND 2-O05-12

ხარჯთაღრიცხვა

დანართი N1

ტურიზმი - „საკრუიზო ტურიზმის მენეჯმენტი" ლიტერატურის სია					
სახელმძღვანელოს დასახელება	ავტორი	გამოცემა	რაოდენობა	ერთ. ფასი (ლარი)	სულ ფასი (ლარი)
ტურიზმის ბიზნესი	მ. მეტრეველი	2011წ.	5	44,2	221
ტურიზმისა და სტუმართმასპინძლობის საფუძვლები	მ. მეტრეველი	2011წ.	2	41,6	83,2
ტურიზმის თეორია	მ.ბირჟაკოვი	2008წ.	5	0	0
გარემო და ეკოტურიზმის მენეჯმენტი	მ. მეტრეველი	2012წ.	5	44,2	221
ტურიზმის ეკონომიკა და პოლიტიკა	მ.მეტრეველი	2011წ.	5	44,2	221
ტურიზმის ინდუსტრია: გადაზიდვები	მ.ბირჟაკოვი, ი. ნიკიფოროვი	2014წ.	5	44,2	221
ტურიზმი და გარემოს დაცვა - ეკოტურიზმის საფუძვლები	მ. მეტრეველი	2008წ.	5	32,5	162,5
„ ტურიზმის მენეჯმენტი"	გ. შუბლაძე, ლ.დოლიკაშვილი,	2015წ.	5	25,35	126.75
ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ადმინისტრირება	ე. ბარათაშვილი, ლ. თაკალანძე, ნ. გრძელიშვილი	2010წ.	5	25,35	126.75
„მეცნიერული კვლევის მეთოდები ტურიზმში"	ი. ხასაია	2014წ.	10	30	300
ტურისტული მარშრუტის მოდელირება	ნ. კვარაცხელია, ნ. ალხანაშვილი, ნ ბირიცკაია	2013წ	5	23,4	117
„ტურიზმის თეორია"	მ.ბირჟაკოვი,	2008წ	5	30	150
ეკონომიკური ანალიზი	ა. აბრალავა, ზ. ჯორბენაძე	2016წ	20	28,8	576
ტურიზმის მარკეტინგი	გ. შუბლაძე. ლ. დოლიკაშვილი,	2009წ. - 2007წ.	5	25,8	129
ადამიანური რესურსების მენეჯმენტი,	ბ. გეჩბაია, ა. დევაძე.	2016წ	7	18	126
რისკები და დაზღვევა.	ნ.ბენიძე, ნ.შონია, ჯ.ბიწაძე.	2010წ.	5	30	150
კულტუროლოგია	ნ.დ. ერიაშვილი	2016 წ.	5	22,8	114
სულ ფასი:					3045.20

„შემსყიდველი"

ქ. ბათუმი. რუსთაველის ქ.№53

სსიპ ,,სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია"

საიდენტიფიკაციო კოდი: 245427337

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი

„მიმწოდებელი"

ქ. ბათუმი, ი. ჭავჭავაძის ქ. №90

შ.პ.ს. „ბათუმი-ექსპრესი"

საიდენტიფიკაციო კოდი: 245424116

დირექტორი

ბელა ჭკადუა

ND 2-O05-12